საქმე № 010310024010410133
საქმე №3/ბ-483-2024წ.

00011416174271 50

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ

15 ნოემბერი, 2024 წელი

ქალაქი ქუთაისი

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციული საქმეთა პალატის
მოსამართლე: ლერი თედორაძე

აპელანტი – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა"
წარმომადგენელი- უშანგი მიქელაძე

მოწინააღმდეგე მხარე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია
წარმომადგენელი - ფრიდონ ბათნიძე

მესამე პირი - №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისია
წარმომადგენელი - ზვიად სურმანიძე
მესამე პირი - №81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისია
წარმომადგენელი - გელა ხახნელიძე
მესამე პირი -№80 ქედის, საოლქო საარჩევნო კომისია
წარმომადგენელი - ალი ნაკაშიძე
მესამე პირი - №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისია
წარმომადგენელი - თენგიზ ბოლქვაძე

მესამე პირები – №82 შუახევის, №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისია და საარჩევნო სუბიექტები: „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია", „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა, „ძლიერი საქართველო- ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებლებისთვის!", „ევროპელი დემოკრატები", „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი", „საქართველოს ლეიბორისტული პარტია", „ჩვენი გაერთიანებული საქართველო", „შეცვალე საქართველო", „საქართველო", „თავისუფალი საქართველო", „ტრიბუნა", „ჩვენ", „გახარია საქართველოსთვის", „მემარცხენე ალიანსი", „გირჩი" და „ქართული ოცნება"

დავის საგანი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება

მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა"-ს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხი

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის" სარჩელი, არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება, სააპელაციო წესით იქნა გასაჩივრებული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლის მიერ, რომელიც მოითხოვს გადაწყვეტილების გაუქმებას და სარჩელის დაკმაყოფილებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372–ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრისა და თანდართული მასალების შემოწმების შედეგად, **სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი აკმაყოფილებს** საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე, 364-ე, 368-369-ე, 372- 374-ე, მუხლების, ასევე საქართველოს საარჩევნო კოდექსის 77-ე მუხლის მოთხოვნებს და მიღებულ უნდა იქნეს განსახილველად.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 77-ე მუხლის 33-ე პუნქტის თანახმად, სასამართლოები საარჩევნო დავებზე საერთო სასამართლოებში წარდგენილი სარჩელების/საჩივრების შესახებ ინფორმაციას დაუყოვნებლივ აწვდიან ცესკოს. ამასთანავე, შესაბამისი სასამართლო ცესკოს უგზავნის განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ განჩინებას სხდომის დანიშვნისა და მესამე პირების ჩაბმის შესახებ. ამ განჩინებას ცესკო მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ განათავსებს საკუთარ ვებგვერდზე. აღნიშნული განჩინება ცესკოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 3 საათის გასვლისთანავე მესამე პირებისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, ხოლო ისინი სასამართლო პროცესზე დაბარებულად ჩაითვლებიან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ განჩინებით სასამართლო განსაზღვრავს საქმის ზეპირი განხილვის დროს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სააპელაციო პალატამ, იხელმძღვანელა, საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 77-78-ე მუხლებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის" სააპელაციო საჩივარი მიღებული იქნას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის წარმოებაში.

2. დაინიშნოს სააპელაციო საჩივრის განხილვა **2024 წლის 16 ნოემბერს, 14:00 საათზე.**

3. მხარეებს სასამართლო სხდომის დღის შესახებ ეცნობოთ კანონით დადგენილი წესით;

4. მოწინააღმდეგე მხარეს გაეგზავნოს სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტის ასლი და განესაზღვროს ვადა **2024 წლის 16 ნოემბერს 12:00** საათამდე, შესაგებლის შემოსატანად;

5. განჩინება არ გასაჩივრდება.

მოსამართლე **ლერი თედორაძე**